 სსიპ კოლეჯი “ახალი ტალღა”

07/03/2025

MES 0 25 0001-04/43

ბრძანება №01-04/43
სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ 2025 წლის მიღებაზე, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, წიგნიერებასა და რაოდენობრივ წიგნიერებაში ტესტირების ხელშეწყობის მიზნით აპლიკანტთარეგისტრაციის , რეგისტრაციაზედა წესრიგისდაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესახებ“, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერებისა მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 04 მარტის N232433 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 05 მარტის N237297 წერილის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025 წლის მიღებაზე სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, წიგნიერებასა და რაოდენობრივ წიგნიერებაში ტესტირებაზე ხელშეწყობის მიზნით, 2025 წლის 31 მაისს და 01 ივნისს აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის კოორდინატორი ქალბატონი **ნელი ღუდუშაური** და ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტიქალბატონი **ირმა ვერულიძე;**
2. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი/პირები ვალდებულია იმოქმედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების შესაბამისად, ტესტირების პერიოდში შეასრულოს სამინისტროს/მართვის სისტემის/ცენტრის კონკრეტული მითითებები, ტესტირების დაგეგმვისა და მიმდინარეობის პერიოდში, უზრუნველყოს სხვა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტესტირების ჩატარებას;

3. 2025 წლის მიღებაზე სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, წიგნიერებასა და რაოდენობრივ წიგნიერებაში ტესტირებაზე ხელშეწყობის მიზნით, 2025 წლის 31 მაისს წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ: **ბიჭიკო ჯინჭარაძე, ნუგზარ ანანიძე, გია მეგრელიძე** ხოლო 2025 წლის 01 ივნისს - **მანუჩარ ოქროპირიძე, ზაზა ჭყონია.** წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან იმოქმედონ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების შესაბამისად, ტესტირების პერიოდში დაიცვან საგამოცდო ცენტრში წესრიგი და არ დაუშვან ტესტირებისთვის გამოყოფილ შენობაში/შენობის ნაწილში სხვა პირების, გარდა ცენტრის, სამინისტროსა და მართვის სისტემის მიერ მივლენილი პირებისა, დაიცვან და არ დააზიანონ საგამოცდო ცენტრში ტესტირების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით განთავსებული ქონება, შეასრულოს სამინისტროს/მართვის სისტემის/ცენტრის კონკრეტული მითითებები, ტესტირების დაგეგმვისა და მიმდინარეობის პერიოდში, უზრუნველყონ სხვა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტესტირების ჩატარებას;
4. ბრძანებაზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაევალოს კოლეჯის დირექტორის მოადგილე კახა ბოლქვაძეს და დამხმარე მომსახურეობების კოორდინატორ ბატონ მურთაზ ცეცხლაძეს
5. დაევალოთს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ქსელის ადმინისტრატორ ბატონ დენის ლადიგინს საჯაროობის მიზნით ბრძანების განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30;
7. ბრძანება ამოქმედდედ ხელმოწერისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო/
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"/
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მეგრელიძე ირმა